БУКИНИСТИЧЕСКИЙ Магаз. № 23
30

№ 59 მთავრობის ორგანო — ყოველდღიური გაზეთი — წელიწადი მესამე

ფასი 2 მან. — კვირა, 14 მარტი 1920 წ.

# საქართველოს რესპუბლიკა

მთავრობის ორგანო, ყოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)
საქართველოს რესპუბლიკა
მიიღება ხელის მოწერა გაზ. „საქ. რესპ." 1920 წლისთვის. გაზეთის ფასი 1 თვით 40 მანეთი, ცალკე ნომერი ყველგან 2 მანეთი. განცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 3 მ. 50 კ. მე-4 გვერდზე 3 მ. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრ ზომისა 80 მ. 1 იანვრ. გაზ. ნისიად არავის გაეგზავნება. რედაქციის კანტორის მისამართი: ტფილისი, ბარონის ქუჩა № 6. ტელეფონი 1—82.

## სახელმწიფო თეატრი

[illegible] ს. ი. ცულუკიძის ხელმძღვანელობით.

კვირას, მარტის 14 დილით **ქეთო და კოტე.** საღამოს ს. გ. მანდენოვას ბენეფისი **აბესალომ და ეთერი.** ორშაბათს, მარტის 15, ვოლ ლევიცკაიას ბენეფ. **დემონი** **ჩვენი ცხოვრებისა.** სამშაბათს მარტის 16, „სინათლე", ოთხშაბათს, მარტის 17, სტარიცკინას მონაწილეობით „[illegible]", ხუთშაბათს მარტის 18, სოლ. ჯიშვილის ბენეფისი „ჰუგენოტები", პარასკევს მარტის 19, მეექვსე გასტროლი ნ. პ. კოშიცის 1. პაიაცები, 2. კონცერტი.

## ოფიციალური განყოფილება

## საზოგადო საბაჟო ტარიფი და ახალი ნიხრი

[illegible] შემოზიდულ საქონლისა.

| სტატია | მუხლი | ლიტერი | ძველი ნიხრი | ახალი ნიხრი | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | — | — | უბ. მ. კ. | უბ. | |
| 2 | 1 | — | 1.05 | „ | |
| | 2 | — | 0.60 | „ | |
| 3 | 1 | — | 0.45 | „ | |
| | 2 | — | 0.60 | „ | |
| | 3 | — | 1.50 | „ | |
| 4 | — | — | 2.10 | „ | |
| 5 | 1 | — | 0.30 | „ | |
| | 2 | — | 0.40 | „ | |
| | 3 | — | 0.90 | „ | |
| | 4 | — | 1.00 | „ | |
| | 5 | — | 1.50 | „ | |
| 6 | 1 | — | 1.80 | 18.00 | |
| | 2 | — | 1.57½ | 32.00 | |
| | 3 | — | 1.12½ | 25.00 | |
| | 4 | — | 3.60 | 22.00 | |
| 7 | — | — | 4.05 | 40.00 | |
| 8 | | უქმდება | | | |
| 9 | — | — | 4.50 | 10.00 | |
| 10 | — | — | 1.12½ | 20.00 | |
| 11 | 1 | — | 2.25 | 15.00 | |
| | 2 | — | 4.50 | 45.00 | |
| 12 | 1 | — | 0.75 | 15.00 | |
| | 2 | — | 1.12½ | 30.00 | |
| 13 | — | — | 10.00 | 50.00 | |
| 14 | 1 | — | 0.85 | უბ. | |
| | 2 | — | 16.20 | 160.00 | |
| 15 | 1 | — | 32.50 | 100.00 | |
| | 2 | — | 11.00 | 50.00 | |
| | 3 | — | 7.00 | 20.00 | |
| 16 | — | — | 3.00 | 30.00 | |
| 17 | — | — | 1.12½ | 12.00 | |
| 18 | 1 | — | 5.85 | 60.00 | |
| | 2 | — | 9.00 | 90.00 | |
| 19 | 1 | — | 4.50 | 45.00 | |
| | 2 | — | 9.00 | 90.00 | |
| 20 | 1 | ა | 31.50 | | |
| | 2 | ბ | 11.25 | | |
| | | უქმდება | | | |
| 21 | 1 | — | 34.65 | 200.00 | |
| | 2 | — | 2.92½ | 20.00 | |
| | 3 | — | 7.20 | 160.00 | |
| 22 | 1 | — | 4.50 | უბ. | |
| | 2 | — | 6.00 | „ | |
| 23 | — | — | 1.80 | „ | |

1920 წ. თებერვლის 24-ს.

საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი ალ. ლომთათიძე.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანია.

## არაოფიციალური განყოფილება

## შინაგან საქმ. სამინისტროში

### ახალციხის გვარდიის შტაბის შუამდგომლობა

სახალხო გვარდიის მთავარი შტაბი, თანახმად ახალციხის სამაზრო შტაბის თხოვნისა, შუამდგომლობს მთავრობის წინაშე, რათა გვარდიელებს უფლება მიეცეთ მონაწილეობა მიიღონ ახალციხის ქალაქის არჩევნებში, რომელიც 21 მარტისთვისაა დანიშნული, იმ შემთხვევაშიაც კი, თუ გვარდიის ნაწილების გადაჯგუფების გამო, არჩევნების დროს ეს ნაწილები ქალაქის ფარგლის გარეშე იქნებიან.

შინაგან საქმეთა სამინისტროს კანცელარიამ განმარტა, რომ საქალაქო არჩევნებში გვარდიის ნაწილები მონაწილეობას მიიღებენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი არჩევნების დღეს ქალაქის ფარგლებში იქნებიან და დაცული იქნება საქალაქო დებულების სათანადო მუხლი.

### ს. ჭყვიშის საზოგადოების შუამდგომლობა

ლეჩხუმის მაზრის ჭყვიშის საზოგადოება შუამდგომლობს შინაგან საქმეთა სამინისტროს წინაშე, რომ ეს საზოგადოება გამოყოფილ იქმნას ცალკე თემათ და მიეწეროს რაჭის მაზრას.

როგორც გამოირკვა, ჭყვიშის საზოგადოება წინათ რაჭის მაზრას ეკუთნოდა, აგრეთვე ხსენებულ საზოგადოების გეოგრაფიული მდგომარეობა შემდეგია: ჭყვიშის რაიონი რაჭის მაზრის ბუნებრივ ნაწილს შეადგენს და მჭიდრო კავშირი აქვს რაჭის მაზრის მახლობელ საზოგადოებებთან. თემი უნდა მოეწყოს დ. ჭრებალოში. ამგვარად ჭრებალოს სათემო ერთეულში შევლენ ს. ს. ქვიშარი, ჭყვიში, გენდუში, ლაბეჭინა და ურზხა. აღნიშნული სოფლები მდებარეობენ მ. რიონის მარცხენა ნაპირზე. ლეჩხუმის მაზრიდან ამ რაიონს ჰყოფს ეგრეთ წოდებული გვერდის მთა; რაჭის მაზრისგან კი — მდ. რიონი. ამ ჟამად შინაგან საქმეთა სამინისტრომ შუამდგომლობა აღძრა მთავრობის წინაშე, რომ გადებულ იქნას საჭირო თანხა დ. ჭრებალოსთან მდ. რიონზე ხიდის გასაკეთებლად. ამ ხიდის გაკეთების შემდეგ ჭყვიშის საზოგადოება უფრო მეტად დაუკავშირდება რაჭის მაზრას.

ამ საკითხის დადებითად გადასაჭრელად შინაგან საქმეთა სამინისტრომ სათანადო შუამდგომლობა აღძრა რესპუბლიკის მთავრობის წინაშე.

### ვიცე დირექტორის დანიშვნა

შინაგან საქმეთა სამინისტროს კანცელარიის ვიცე დირექტორათ დაინიშნა ადმინისტრატიულ განყოფილების უფროსი ალ. შენგელია.

## მომარაგების სამინისტროსაგან

უკანასკნელ ხანებში მომარაგების სამინისტროს მოღვაწეობა შეიქნა კრიტიკის საგნათ როგორც პრესისა, აგრეთვე სხვა და სხვა კრებების და ყრილობებისა. ხაზ გასმით დიდ ყურადღებას იპყრობს მონოპოლიების საკითხი, რომლებშიც გადახლართულია სხვა და სხვა ჯურის ინტერესები კერძოთ, მთავარი ყურადღების საგნათ გამხდარია თამბაქოს მონოპოლიის საკითხი.

სამინისტროს არამც თუ არაფერი აქვს საწინააღმდეგო კრიტიკის, პირიქით მას ჯეროვან ყურადღებას აქცევს. მაგრამ მას უფლება აქვს მოითხოვოს, რომ მას შეცდომებათ ჩაითვალოს მხოლოდ მისივე მოქმედებით გამოწვეული ფაქტები და კრიტიკოსები დაეყრდნონ მხოლოდ ისეთ ფაქტებს, რომელნიც სინამდვილესთან ახლო არიან. სამწუხაროთ ასეთი სამართლიანი სურვილები ხშირად არ მართლდებიან. სანამ ბრალდებები გადმოსროლილნი იყვნენ უპასუხისმგებლო და ხშირად პირდაპირ დაინტერესებულთა წრეების მიერ მომარაგების სამინისტრო არ თვლიდა საჭიროთ პასუხის გაცემას ვინაიდან მიუდგომელ მოაზროვნეთათვის ისედაც ნათელი იყო ნამდვილი ბუნება ისეთ ბრალდებებისა. მაგრამ, როდესაც ბრალდებებით (ნამდვილად კი გამოსვლებით) აცდენილი სინამდვილესთან დაშორებულ ფაქტებიან გამოდის პიროვნება, რომელსაც უპირავს ოფიციალური მდგომარეობა (იხ. სტ. ს. ქვარიანის „თამბაქოს მონოპოლია" „ვოზროჟდენიე" 25 თებ. 1920 წ.) მომარაგების სამინისტრო იძულებულია პასუხი გასცეს ასეთ გამოსვლებს, რათა ნიადაგი მოესპოს სხვა და სხვა ჭორების გავრცელებას.

დავიწყოთ თუნდაც ს. ქვარიანის წერილიდან „თამბაქოს მონოპოლია", რომელიც უმეტეს შემთხვევაში სავსეა ცნობებით, რომელნიც შეეხებიან იმ დროს მოქმედების შეფასებას, როდესაც მონოპოლია და თვით მომარაგების სამინისტრო არც კი არსებობდნენ. ანგარიში უნდა გაეწიოს იმას თუ რა შეეძლო გაეკეთებინა მას ასეთ პირობებში იმ სამი თვის განმავლობაში, რომლითაც ამოიწურება მთელი მისი აქამდე არსებობა. ბ. ს. ქვარიანის ბრალდებები მთლად აშენებულია სიმართლესთან დაშორებულ ფაქტებზე.

თუმცა-ღა სახელმწიფოს ხელში უკვე გადავიდა საგრძნობი ნაწილი უცხო სახელმწიფოთა ქვეშევრდომთა კუთვნილი თამბაქოსი, მაგრამ ბ. ს. ქვარიანი მოუხედავათ ამისა ფიქრობს, რომ მონოპოლია არ ვრცელდება უცხოელებზედ. საქართველოს ქვეშევრდომთა კუთვნილი თამბაქო მას აქვს ნავარაუდევი 50 ათას ფუთამდე როდესაც ნამდვილად რამდენჯერმე მეტია ამ ციფრზე. ასეთი შემცდარი ანგარიშებით და წარმოდგენით ბ. ს. ქვარიანი მიდის იმ დასკვნამდე, რომ ყველა შედეგები მონოპოლიისა ბოლოს ამოიწურება მით რომ მომარაგების სამინისტრო „[illegible] თავის მოვაჭრეებს", რომელთაც წაართმევს უმნიშვნელო ნაწილს, საერთო რაოდენობისას, 11—15-ჯერ ნაკლებ ფასში ევროპიულ ფასებთან შედარებით.

ადგილობრივ და ევროპიულ ბაზარზე არსებული ფასების (რომელნიც საგრძნობლად გაზვიადებულია ბ. ს. ქვარიანის მიერ) განსხვავება იწვევს ბაზარზე ფრიად ჩვეულებრივ აღშფოთებას. წინათ ხარისხოვანი ფუთი თამბაქოსი ევროპაში ღირს 8—15 ათას მანეთამდე, მაშინ როდესაც ნამდვილად ფასი ორჯერ ნაკლებია.

განსხვავება, უნდა ვთქვათ, ძლიერ საგრძნობია. კითხვის გასარკვევათ მხედველობაში მიღებულ უნდა იქნას შემდეგი: 1919 წლის მოსავალი ჯერ არის დამზადებული და ბაზარზედ არ გამოსულა, ამ ჟამად არის თამბაქო 1916—1918 და უფრო ადრე წლებისა. ფაქტიურად მხოლოდ ამ თამბაქოზედ ვრცელდება გამომუშავებული ფასები, მაგრამ აღნიშნულ წლების მოსავლებიდან მეთამბაქოთა-მწარმოებელთა ხელში თითქმის არაფერი დარჩენილა. მთელი ეს თამბაქო, მცირე გამონაკლისით, უკვე დიდი ხანია შესყიდულია და ეკუთვნით ვაჭრებს, რომლებსაც გადახდილი აქვთ მასში გაცილებით ნაკლები, ვიდრე მათ აძლევს მთავრობა.

არც ერთი სახელმწიფო დედამიწაზედ არ სცნობს საქონლის და ქონებათა მეპატრონეთა უფლებას გაზრდილ ღირებულებაზედ, იმდენათ რამდენად ეს ზრდა გამოწვეულია ფულის ნიშნების ღირებულების დაცემით. მით უმეტეს უსამართლო იქნებოდა გვეცნო თამბაქოს მეპატრონეთა უფლება ევროპაში არსებულ ფასებზე.

1. იმისათვის, რომ ღირებულება ჩვენი ფულისა საზღვარ გარეთ დაცემულია უფრო მეტად ვიდრე ჩვენში თამბაქოს მეპატრონეებს უცხო ვალიუტის გადახურდავებით ჩვენში შეეძლებათ მიეცემოდა კიდევ გაეფართოვებინათ შესყიდვით საშუალებანი. 2. იმისათვის რომ საქართველო ომის გამო მოწყვეტილი იყო ბაზარს და ეხლანდელ თამბაქოს მეპატრონეებმა შეისყიდეს ის დაბალ ფასებში. სამართლიანი იყო სურვილი თამბაქოს დამმუშავებელთა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ დღევანდელ თამბაქოს მეპატრონეებს არ მიელოთ თამბაქოში დიდი ფასები, ფასს, რომელსაც ეხლა აძლევს მთავრობა თამბაქოს პატრონებს პლანტატორებს ძლიერ მაღალ ფასებად მიაჩნია ბ. ქვარიანი კი ამას „გაფუჭებას“ უწოდებს.

ბ. ს. ქვარიანი ამბობს „ამ მონოპოლიებმა და რეკვიზიციამ იმდენად დააფრთხო ხალხი, რომ არავინ არ ფიქრობს თამბაქოს დამუშავებაზე“. მომარაგების სამინისტრო არ უარყოფს, რომ შესყიდვამ თამბაქოს მტკიცე ფასებში ზოგი შეაფიქრიანა, მაგრამ ზემო ნათქვამიდან ნათელია, რომ შეაფიქრიანა არა თამბაქოს მომუშავენი. მომარაგების სამინისტრო მომავალ მოსავლების ჩამორთმევას სრულიად არ ფიქრობს თვით ღირებულების ნაკლებ ფასებში, წინააღმდეგ უკვე არსებობს დადგენილება მთავრობისა, რომლის თანახმად თამბაქოს დამმუშავებელთ გარდა თამბაქოს თვით ღირებულებისა (რომელსაც წარმოებელნი უკლებლივ მიიღებენ) შესყიდვის დროსვე ეძლევათ გარანტია 30—50% წმინდა მოგებიდან მიიღონ. ეს გაკეთდა არა მალულად, არამედ თვით მეთამბაქოეთა წარმომადგენლების თანდასწრებით.

ბ. ს. ქვარიანი ამტკიცებს, რომ წინააღმდეგ მომარაგების სამინისტრო დღევანდელ პოლიტიკისა, თამბაქოს გასაღების საქმე უნდა მოეწყოს როგორც მარგანეცისა. ესე იგი დაინტერესებულ პირთა მონაწილეობით. მომარაგების სამინისტროსაც სწორედ ასეთი პოლიტიკა გაჰყავს და ეს ბ. ს. ქვარიანმაც იცის. ჯერ კიდევ იანვარში, მომარაგების სამინისტროს მთავარ რწმუნებულის ი. დ. ჯაფსაშვილის ინიციატივობით, ქ. სოხუმში, პლანტატორთა კავშირის წარმომადგენლების მონაწილეობით შესდგა სხდომა, რომელზედაც მუშავდებოდა კითხვა, თუ როგორი საშუალებით შეიძლებოდა პლანტატორ მწარმოებელთა მტკიცე კავშირის შექმნა, რომელიც მონაწილეობას მიიღებდა მთავრობასთან ერთად თამბაქოს რეალიზაციის საქმეში.

მარგანეცზე მონოპოლიის გამოცხადების დროს მარგანეცის მწარმოებელთა ორგანიზაცია უკვე არსებობდა და ამიტომ შესაძლებელი იყო მათი მიწვევა მონოპოლიის განხორციელების საქმეში. მეთამბაქოეთა ორგანიზაცია კი არ არსებობდა და მას ჯერ კიდევ შექმნა სჭიროდა. თუ მხედველობაში მივიღებთ თამბაქოს წარმოების სპეციალურ მიზეზებს, რომელნიც გამოიხატებიან წარმოების დანაწილებაში და სხვა, მეთამბაქოეთა მტკიცე ორგანიზაციის შექმნა ერთ დღეში შეუძლებელი ხდება.

ბ. ქვარიანი წინადადებას იძლევა რა, გამოეყენოთ გამოცდილება მარგანეცის მონოპოლიის საქმის მოგვარებისა, სურს თამბაქოს საქმეში იყოს შეტანილი ერთი განსხვავება: საქმეში მიწვეულნი უნდა იყვნენ მისი აზრით არა თამბაქოს მწარმოებელნი, არამედ თამბაქოს პატრონნი (შემყიდველნი), მაგრამ როგორც ნ. კ. თავდგირიძეს მოხსენებიდან სჩანს მეთამბაქოეთა ყრილობაზე („ვოზროჟდენიე“ 4/III—1920 წ.) წაკითხულიდან, დამოუკიდებელი მწარმოებელნი თამბაქოსი, რომელთაც არა აქვთ კავშირი ექსპორტიორებთან ამ ჟამად არ მოიპოვებიან. მისი სიტყვით მოსავალი თამბაქოს ვიდრე ბაზარზე გამოვიდოდეს აღარ ეკუთვნის პლანტატორს. ბ. ს. ქვარიანის მიერ რჩეული გზით თამბაქოს მესაკუთრეთა ორგანიზაციის შექმნით, თვით თამბაქოს მწარმოებელნი (პლანტატორები) წარმოდგენილნი იქნებოდნენ ძლიერ სუსტად, რამდენადაც ისინი მაინც შეიძლებენ მონაწილეობის მიღებას, არის საბუთები ვიფიქროთ, რომ ორგანიზაციაში შეერთებულნი პლანტატორ მწარმოებლების და მათ ექსპორტიორებისა აუცილებლად იჩენს თავს ძალდატანება ვაჭრების მხრივ, რომელთაც ხელს შეუწყობს კაპიტალი. ესე იგი ისეთი ორგანიზაცია უფრო ხელსაყრელი იქნებოდა არა მწარმოებელთათვის, არამედ ექსპორტიორ ვაჭრებისათვის. ამის გამო სამინისტრომ ვერ ნახა საქმის სასარგებლოდ მიემართა იმ საშუალებისათვის, რომელსაც გვირჩევს ბ. ს. ქვარიანი. სამინისტროს აზრით, მონოპოლიის განხორციელების საქმეში მოწვეულნი უნდა იქნენ მხოლოდ თვით პლანტატორები თამბაქოს დამმუშავებელნი, ამისათვის მომარაგების სამინისტროს მთავარ რწმუნებულის მიერ დამუშავებულ სახელმძღვანელო წესდების ძალით, მწარმოებელთა საკრედიტო კოოპერატივის შექმნის შესახებ, კოოპერატივში არ შეუძლიან არა თამბაქოს მწარმოებლებს მონაწილეობის მიღება. ნ. კ. თავდგირიძემ უკვე თავის მოხსენებაში გამოსთქვა რწმენა, რომ თუ ფინანსიური დახმარება არ ეძლევა მწარმოებლებს, შემყიდველებიდან, თამბაქოს წარმოება დაიღუპება. ასეთი შიში, რა თქმა უნდა, უნიადაგოა. სესხი, რომელსაც უწინ ღებულობდენ მწარმოებელნი შემყიდველებიდან შეიცვლება სახელმწიფო სესხით. საჭირო თანხის გადასადებად მთავრობაში უკვე წარდგენილია მოხსენება. ბუნებრივია, რომ პლანტატორ მწარმოებელნი სიხარულით ხვდებიან კერძო კრედიტის შეცვლას სახელმწიფო კრედიტით, მაგრამ სახელმწიფოს არ შეუძლია, რა თქმა უნდა, ერთ და იმავე დროს დააკმაყოფილოს ინტერესი მათი ვინც იღებდა სესხს და ვინც მას იძლეოდა.

# 12 მარტი ტფილისში

რუსეთის რევოლიუციის სამი წლის შესრულება ტფილისის დემოკრატიამ ღირსეული დღესასწაულით აღნიშნა.

ამ დღეს მთელი რევოლიუციონური ტფილისი ერთხელ კიდევ აენთო თავისუფლების ცეცხლით და თავისი ძლიერება დაადასტურა.

თუმცა ამ დღისათვის არ ყოფილა ჩვეულებრივ დიდი სამზადისი, მაგრამ საგულისხმოა, რომ ეს დღესასწაული ხალხის გულში თითქმის თავისთავად მზადდებოდა და 12 მარტს ჰპოვა გამოსახულება.

ტფილისი ნიშნად დღესასწაულისა წითელი დროშებით იყო მორთული. სასახლე, სამინისტროების შენობა (ყოფილი კადეტთა კორპუსი) და მუშათა სასახლე აფერადებული იყო დროშებთან ერთად ცოცხალი ყვავილებით.

რეგულიარული ჯარის ნაწილები, კოხტად დარაზმულნი, რევოლიუციონური მუსიკით გამოეფინა რუსთაველის პროსპექტზე და ჩამწკრივდა მარჯვენა მარცხენა მხარეზე.

რევოლიუციონური ორგანიზაციის და პროფესიონალური კავშირების წევრები ვეებერთელა ჯგუფებად დარაზმული აწვიენ თავიანთ სასახლეს და დაბანაკდენ.

დრო გამოშვებით პროსპექტზე ჰქრიან დროშებით და მუშებით აყვავილებული ავტომობილები და თან მიაქვთ რევოლიუციონური ძლიერების ნების ყოფა.

ყველაზე მეტ ყურადღებას იპყრობს საგანგებოდ მოწყობილი ავტომობილი, რომელზედაც აღმართულია სამჭედლო-გრდემლი და შემომწკრივებული მუშები გავარვარებულ რკინას სცემენ მძლე მკლავებით კვერს და მიაჰქრიან დაუსრულებლივ...

მუშათა სასახლესთან იხსნება მიტინგი, პირველად სიტყვას ამბობს დივდარიანი, რომელიც ვრცლად ეხება და მოჰყავს რევოლიუციის წარმოშობის და განვითარების მომენტები. მას მოჰყავს რუსეთის რევოლიუციიდან ბევრი საყურადღებო ფაქტები, რამაც მიიყვანა რევოლიუცია დამარცხებამდე რუსეთში. საქართველოში რევოლიუციის მონაპოვართა გადარჩენისათვის იგი დიდის აღტაცებით იხსენიებს ჩვენი დემოკრატიის თავგანწირულებას და თავდადებას. იგი მოუწოდებს მუშებს კვლავაც თავგანწირვით დაიცვან საქართველოს თავისუფლება და არავის დაანებონ მისი განადგურება. აქვე ლაპარაკობენ სხვა ორატორებიც.

აქედან ხალხი სასახლეს ეწვია. დამფუძნებელი კრების საგანგებო სხდომა გათავდა და გაიმართა მიტინგი. ილაპარაკა ალ. ლომთათიძემ. მან ჩვეულებრივი მჭერმეტყველური მქუხარე სიტყვით ბევრს აუნთო გაციებულ სულში დაფერფლის გზაზე მდგომი რევოლიუციონური ცეცხლი და ამაღლა იმედით. ილაპარაკა აგრეთვე რუსულად გვარდიის ბელადმა ჯუღელმა.

აქედან ხალხი გაემართა თავისუფლების მოედნისაკენ ნაძალადევში, სადაც გაიმართა მიტინგი, ილაპარაკა მრავალმა ორატორმა.

# ტერმინოლოგიის შემუშავების გარშემო.

III [1])

„თუ ჩვეულებრივ ხმარებაში შემოღებული ენა ამ ზომაზედ აბრკოლებს მეცნიერულ აზროვნებას, რად არ უარყოფენ მას სავსებით, იკითხავს ვინმე..

მეცნიერი იძულებულია ანგარიში გაუწიოს ტრადიციას, თუმცა ის შეიძლება სრულიადაც არ ეთანხმებოდეს მას... თითოეული მეცნიერი შებოჭილია ტრადიციით...

ამნაირად, მიუხედავად იმისა, რომ ჩვეულებრივ ხმარებაში შემოღებული სიტყვები თავის შინაარსის ბუნდოვანობის გამო არ წარმოადგენენ საკმაოდ კარგ საშუალებას მეცნიერული ენის გამოსახატავად, დაწინაურებულ ქვეყნებში მაინც იძულებული არიან იხმარონ ეს სიტყვები მეცნიერულად გადამუშავებულ ცნებათა აღსანიშნავად: ეს ხდება უკვე შექმნილ ტრადიციის ზედგავლენით, ბრძანებს ბ-ნი ს. დანელია.

თუ კი ეს ასეა, თუ კი მართლა უცხოელთა ტერმინოლოგიას ასეთი ნაკლი აქვს, თუ კი მართლა „ტრადიციის მნიშვნელობა განსაკუთრებით დიდია დაწინაურებულ ერებში,“ თუ კი „ტრადიციის ზედგავლენით“ მეცნიერული ტერმინები ჩვეულებრივ ხმარებაში შემოღებულ სიტყვებს წარმოადგენენ, რაც ბ-ნ ს. დანელიას აზრით ბუნდოვანებას ბადებს და მეცნიერულ აზროვნებას ხელს უშლის,- ერთადერთი დასკვნა აქედან შეიძლებოდა ასეთი: ყოვლად შეუძლებელია ქართულ ენაში დაწინაურებულ ერების სამეცნიერო ტერმინოლოგიის შემოღება, რადგან ეს ბუნდოვანებას გამოიწვევს და მეცნიერულ აზროვნებას დააბრკოლებს. ბ-ნ ს. დანელიას კი სწორედ ამის საწინააღმდეგო დასკვნა გამოყავს და აღიარებს „უცხო მეცნიერული ტერმინის შემოღების“ საჭიროებას:

მაგრამ შეიძლება ბ-ნი ს. დანელია ფიქრობს, რომ ტრადიციის ზედგავლენით დატოვებული, ჩვეულებრივ წარმოდგენიდან აღებული ყოველგვარი უცხო ტერმინი ქართულ ენისათვის გამოსადეგად და სავარგისად უნდა ჩაითვალოს იმიტომ, რომ ქართველ ადამიანისთვის ის გაუგებარი იქმნება და როგორც ასეთი, ის ჩვეულებრივ და მეცნიერულ წარმოდგენათა შორის არავითარ შერევას არ გამოიწვევს.

მაგრამ გავარჩიოთ, სწორია თუ არა ასეთი შეხედულება და მიგვიყვანს თუ არა ის დასახულ მიზნამდე? ერთი ის, რომ მოსწავლე ახალგაზრდობას და მოწინავე საზოგადოებას უცხო ენები ეცოდინება და, მაშასადამე, ეცოდინება უცხო ენიდან აღებული ტერმინის მნიშვნელობაც. ამნაირად მათთვის ვერავითარ გარანტიას ვერ შევქმნით ამ „ბუნდოვანების“ თავიდან ასაცილებლად. მაგრამ დავსვათ საკითხი: საზოგადოების იმ ნაწილისათვის, რომელსაც უცხო ენები არ ეცოდინება, გამოდგება თუ არა ეს უცხო ტერმინები?

ამ კითხვაზე მხოლოდ უარყოფითი პასუხის მიცემა შეიძლება.

ვისაც პედაგოგიურ ასპარეზზე ცოტა ხანი მაინც უმუშავნია, ვისაც ერთხელ მაინც უცდია დიდისა თუ პატარასთვის თავის ცოდნის გადაცემა და შთაგონება, მან კარგად იცის, თუ რა დიდ დაბრკოლებას წარმოადგენს ამ საქმეში უცხო და გაუგებარი სიტყვები. ყველას კარგად მოეხსენება, რომ, როდესაც მთელი საუკუნეს განმავლობაში ჩვენს ხალხს საკუთარი ენის ხმარება აკრძალული ჰქონდა, სწავლება უცხო ენაზე სწარმოებდა და უცხო, შეუთვისებელ კულტურის ხელოვნურ ჩანერგვას წარმოადგენდა,- რა წვალებად და ვაი-ვაგლახად იყო მიჩნეული ეს სწავლა. მთელი ენერგია თუთიყუშურ გაზეპირებაზე და ზერელე ცოდნის მიღებაზე იხარჯებოდა. ყოველივე ჩაფიქრებას და ჩაკვლევის შეძლებას-კი ხალხს აშორებული ჰქონდა.

თუ ეხლაც ჩვენ მას ქართული სწავლის და ქართული მეცნიერული ტერმინების სახელით ყოვლად უცხო და მისთვის გაუგებარი სიტყვები მივაწოდეთ მეტად შეფერხდება ხალხში სწავლა-განათლების გავრცელების საქმე. გაუგებარი სწავლება გონების ყოველ ნხარეს სჩაგრავს და აძინებს და მხოლოდ ცარიელ მეხანიკურ მეხსიერებას ანვითარებს. რასაკვირველია, დიდი შეცდომაა ფიქრი ვითომ გაზეპირებული ცოდნა ჭეშმარიტ და მტკიცე განვითარებას წარმოადგენდეს.

ასეთი ზერელე ცოდნით ვერ გამოიჭედება შეგნებული და საღი ადამიანი, ნამდვილი მოქალაქე და ცხოვრებისათვის მომზადებული პიროვნება. ყოველივე ამისთვის საჭიროა მეტყველი, მტკიცე და მარტივი ენა და შინაარსის გამომსახველი ტერმინი.

რამდენიმე საუკუნეს წინ იყო ცდა—ერთის ენით საწერად, ერთის ენით სალაპარაკოდ; შემდეგ სხოლასტიურ სკოლების ზედგავლენით სესხულობდნენ უცხო სიტყვებს, მაგრამ ცხოვრებამ თან და თან დაამსხვრია სხოლასტიკის ეს ბორკილები.

ნუ თუ ჩვენ უნდა დავადგეთ ცხოვრების მიერ ართხელ და სამუდამოდ ვარგოყოფილ გზას?!

„დიდი შეცდომა იქნება, თუ ჩვენ ჩვენი აზროვნების განვითარებას იმ გზით მივმართავთ, რა გზითაც მიდიოდნენ სხვა ერები, რომელთაც არ ჰქონდათ მისაბაძი მაგალითი,“ ვიტყვი ბ-ნ ს. დანელიას სიტყვებით, თუმც და არსებითად თვით გვირჩევს იმას, რისაც თითქოს უარისმყოფელია.

ბ-ნ ს. დანელიას ფიქრით მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში გამოგვადგება ქართული სიტყვები, უმეტესად კი მოგვიწევს უცხო სიტყვების შემოღება. მაგრამ ჩაფიქრებულა თუ არა ბ-ნი დანელია იმაზე, თუ რა უზარმაზარი უცხო სიტყვების ზვავი დაატყდება თავზე ერთბაშად ქართულ ენას?! სხვა ქვეყნებში ეს ლათინურ-ბერძნული სიტყვები თითო თითოდ ემატებოდნენ, ხმარების დროს თანდათან ითლებოდნენ და ამ ენების ერთმანეთთან ახლო ნათესაობის გამო თითქმის მშობლიურ სიტყვებად აქცეოდნენ

ჩვენი ენა კი თვისი ბუნების და უცხო ენებთან სიშორის გამო მათ ვერასოდეს ვერ შეითვისებს და დამალა დაკემულავით გამეშდება-გაქვავდება ან „ესპერანტოს“ მსგავს ჟარგონად გადაიქცევა...

„ეროვნული ინტერესი მოითხოვს მხოლოდ ეროვნულ პროგრესს. უფრო ეროვნული ის კი არ არის, რასაც უფრო ადვილად ითვისებს ერი, არამედ მხოლოდ ის, რაც აწინაურებს ერს“, ბრძანებს ბ-ნი ს. დანელია.

ადვილად რისმე შეთვისება სრულიად ხელს არ უშლის ერის დაწინაურებას, პირიქით ხელს შეუწყობს კიდეც მართლაც, თუ ერს საშუალება მიეცა ადვილად შეითვისოს ცოდნა, შეიძინოს სწავლა-განათლება, ეს მით უფრო დააწინაურებს მას და ნიადაგს მოუმზადებს ეროვნულ პროგრესს. ცოდნის უფრო ადვილად შეთვისების საშუალებას-კი რიგიანად შემუშავებული, ყოველ ბუნდოვანებას მოკლებული ეროვნული ტერმინოლოგია მოგვცემს.

„სწორედ ამნაირადვე დემოკრატიული ინტერესი სრულიად არ გულისხმობს იმას, რომ დაკანონებულ იქმნეს ის რაც უმრავლესობას მოსწონს, რაც უმრავლესობისთვის ადვილი გასაგებია, არამედ მოითხოვს იმას, რომ აღიარებულ იქმნას მხოლოდ ის, რაც უმრავლესობისთვის უფრო სასარგებლოა, განაგრძობს ბ-ნი ს. დანელია.

კარგი და პატიოსანი! მხოლოდ ხომ შეიძლება რომ ადვილად გასაგები ამასთან ერთად უფრო სასარგებლოც იყოს; ყოველ შემთხვევაში ეს ორი მხარე ერთმანეთის საწინააღმდეგო პოლიუსებს სრულიად არ წარმოადგენენ, სწორედ უმრავლესობის სარგებლიანობის და დემოკრატიული ინტერესი მოითხოვს სწავლა-განათლების ფართო გავრცელებას, დემოკრატიულ მასსაში შეგნების შეტანას და მისი საფუძვლიან მომზადებას. ყოველივე ეს კი შესაძლებელია მხოლოდ გასაგებ მშობლიურ ენით.

„პედაგოგიკა ამას-კი არ მოითხოვს, რომ ბავშვს ვასწავლოთ მხოლოდ ის, რაც მისთვის უფრო ადვილია“, ბრძანებს კიდევ ბ-ნი ს. დანელია.

დიახ, ეს მართალია; მაგრამ უფრო პედაგოგიურია ის მეთოდი, ის ნაბიჯი, ის გზა, რომელიც, მაგალითად, ერთ და იმავე მასალას, ერთ და იმავე ჰომოცანას უფრო ადვილად და მჭიდროდ ათვისებინებს ადამიანს. პედაგოგიკა მოითხოვს, რომ სწავლება ადვილათ, მარტივ და გასაგებ მასალიდან იწყებოდეს და შემდეგში თანდათან რთულდებოდეს. მოსწავლეს ჯერ გასაგები, ადვილად წარმოსადგენი მშობლიური სიტყვებით გამოსახული ცნებანი უნდა შევათვისოთ და თან და თან შევეცადოთ მისი ცოდნის გაღრმავებას და გაფართოვებას. ამნაირად შეთვისებაც უფრო ადვილად მოხდება და ერთხელ განმარტებულ-შეთვისებულიც მტკიცედ აღიბეჭდება ადამიანის აზროვნებაში. ბ-ნ ს. დანელიას კი სურს ბავშვს ულღასავით ეცეს ამ გაუგებარი ტერმინებით და დავთარი სულ ერთიანად აურიოს, რასაკვირველია, უნებლიეთ. ეჭვს გარეშეა, ამნაირად მიდგომა საქმისადმი პედაგოგიურად არ შეიძლება ჩაითვალოს.

„რაც შეეხება ახალ სიტყვის შეთხზვას ქართული ენის ფუძეებიდან, ეს ნაკლებად მისაღებია: ერთი იმისთვის, რომ ახლად შეთხზულ სიტყვას ასე თუ ისე მაინც თან ახლდეს იქნება ძველებური (ე. ი. ჩვეულებრივ ხმარებაში შემოღებული და ბუნდოვანი) მნიშვნელობა. მეორე კი იმისათვის, რომ ჩვენი ეროვნული განვითარების გარანტია უნდა ვეძიოთ უცხო ერებთან მტკიცე კავშირში. განკერძოებულად ჩვენ ვერაფერს ვერ შევქმნით. რაც უფრო დაკავშირებული იქნება ჩვენი აზროვნება უცხო ერების აზროვნებასთან, მით უზრუნველყოფილი იქნება ჩვენი პროგრესი. მეცნიერული ტერმინოლოგია არის საუკეთესო საფუძველი სხვა ერებთან ურთიერთობისა“, ბრძანებს დაბოლოს ბ-ნი ს. დანელია.

თუ ეს მართლა ასეა, გამოდის თითქოს უკეთესია ენაში რაც შეიძლება ცოტა ეროვნული ტერმინები მოიპოვებოდეს; აქედანვე გამოდის ის დასკვნა, რომ იდეალურ ტერმინოლოგიას მივიღებთ მაშინ, როდესაც სავსებით უცხო ტერმინოლოგია გვექნება, ვინაიდან მაშინ გაჩნდება „საუკეთესო საფუძველი სხვა ერებთან ურთიერთობისა“. მაგრამ ეს აგრეა განა?!

ჩვეულებრივ ხმარებაში შემოღებულ ტერმინებს არავითარი „ბუნდოვანება“ არ ახასიათებს და რაშია საქმე ამ მხრივ, მეორე წერილში მქონდა განმარტებული. რაც შეეხება დაწინაურებულ ერებთან კავშირის საჭიროებას და, თუ გნებავთ, დაახლოვებასაც, ამის წინააღმდეგ არა მგონია ვინმემ რაიმე სთქვას,

1) იხ. „საქართველ. რესპ.“ №№ 48,54.

მხოლოდ საუკეთესო საფუძვლად ურთი-ერთობისათვის ერთი და იგივე სამეცნიერო ტერმინოლოგია არ შეიძლება ჩაითვალოს. ვინც კულტურულ ერების ენა არ იცის, მას რამდენიმე ასეული უცხო ტერმინის ცოდნა ვერაფერს შესძენს და ვერავისთან ვერ დააკავშირებს. ცოდნის შეთვისებას კი ეს უცხო ტერმინოლოგია ერთობ გააძნელებს და ამნაირად მხოლოდ უარყოფითი როლს ითამაშებს.

ევროპასთან დასახლოვებლად, ჩვენი აზროვნების მისი აზროვნებასთან დასაკავშირებლად საკმარისი არ არის რამდენიმე უცხო ტერმინის ცოდნა, არამედ საჭიროა ევროპიული ენების შესწავლა, ერის კულტურული დაწინაურება, ხალხში ფართო სწავლა განათლების გავრცელება.

თუ ხალხს თავისი სახის და დამოუკიდებლობის დაკარგვა არ სურს, მას საკუთარი და თანამედროვე კულტურის დონეზე მდგომი ენა უნდა ჰქონდეს. მხოლოდ მაშინ შესძლებს ის ამ კულტურის დონემდე ამაღლებას, მის შეთვისებას, კაცობრიობის სწორუფლებიან წევრობას და მასი წინმსვლელობის საქმეში თავისი წვლილის შეტანას.

უნდა მხედველობიდან ჯერ გაუშვათ კიდევ ის გარემოება, რომ ჩვენი განათლება ეხლა იქმნება, რომ ჩვენი მეცნიერული ენა თითქმის tabula rasa-ს წარმოადგენს. ჩვენს თვალ წინ კი სდგას ევროპის მეცნიერების, კულტურის და პედაგოგიის მთელი ისტორია, მთელი განვლილი გზა. მის ანგარიშში უნდა გავუწიოთ და ღრმად ჩავუკვირდეთ, შეცდომები—მივიღოთ, უვარგისი—უკუვაგდოთ და ყოველივე ლონე ვიხმაროთ, რათა ისეთი საქმე არ გავაკეთოთ, რომელიც ცოტა ხანში ხელ-ახლა გასაკეთებელი იქნეს. სწორედ ევროპიული ერების ტერმინოლოგიის ისტორია, უცხო სიტყვების თანდათანობითი განდევნების სახით, ნათლად გვიჩვენებს, რომ შეუძლებელია უცხო ტერმინოლოგიის გადმონერგვის გზას დავადგეთ.

ასე რომ, რა მხრითაც არ უნდა მივუდგეთ საკითხს, პასუხი მხოლოდ ერთი შეიძლება მივიღოთ: სამეცნიერო ტერმინოლოგია ეროვნული უნდა იყოს.

ეს უნდა გახდეს ჩვენ პრინციპად, დედააზრად ტერმინოლოგიის შემუშავების დროს.

მუშაობის დროს, რასაკვირველია, შეიძლება ყველა ცნებებს ერთბაშად სწორად გამომხატველი და ამასთანავე ქართული ენის ბუნებასთან შეგუებული კარგა სიტყვა ვერ გამოვუნახოთ; ასეთ უკიდურეს შემთხვევაში დროებით შეიძლება უცხო ტერმინი დავსტოვოთ, მხოლოდ დედა აზრი მუდამ უნდა გვახსოვდეს და ისინი „მოსაფიქრებელ ტერმინთა" ხიაში მოვაქციოთ.

რასაკვირველია, ეს არ შეეხება იმ უცხო ტერმინებს, რომელნიც ცნების შინაარსს სწორად გამოხატავენ და ქართველ ერს დიდი ხანია შეთვისებული აქვს. ამნაირად:

1. უცხო ტერმინების შემოღება ვერავითარ მიზანს ვერ მიაღწევს.

2. გაუგებარი სწავლება გონების უნარს ჩაახშობს და მხოლოდ მექანიურ მეხსიერებას ანვითარებს.

3. ცხოვრებისთვის მომზადებულ და საღი პიროვნების გამოსაჭედად მეტყველი, მტკიცე და მარტივი ენაა საჭირო.

4. უცხო სიტყვების გადმონერგვით სხოლასტიურ სკოლას დაუახლოვდებით, რომელიც თვით ცხოვრების მიერ უარყოფილია.

5. აუარებელი სამეცნიერო უცხო ტერმინების შემოღებით ქართულ ენას საშინლად დავამახინჯებთ და „ესპერანტოს" მგზავს ჟარგონად გადავაქცევთ.

6. ეროვნული ინტერესი მოითხოვს სწავლებას მშობლიურ ენაზე, ვინაიდან ამ გზით ცოდნა უფრო ადვილად გავრცელდება და განათლების საქმე უფრო მტკიცე და მტკიცე ნიადაგზე დადგება.

7. მშობლიურ გასაგებ ენაზე ცოდნის ფართოდ გავრცელებას მოითხოვს დემოკრატიული და სახელმწიფოებრივი ინტერესები, ვინაიდან, რამდენად გონებრივად დაწინაურებული დემოკრატია, იმდენად მისი და, მაშასადამე, სახელმწიფოს მდგომარეობაც უზრუნველყოფილია.

8. პედაგოგიური თვალსაზრისიც მოითხოვს სწავლა-განათლების გასაგებ ენაზე გადაცემას, ვინაიდან გაუგებარი სწავლება ადამიანისთვის წვალებად იქცევა და მხოლოდ უარყოფითი შედეგებს იძლევა.

9. ჩვენი აზროვნების ევროპის აზროვნებასთან დასაკავშირებლად, ჩვენ მიერ ევროპის კულტურის შესათვისებლად საჭიროა ევროპიულ ენების შესწავლა, ერის კულტურული დაწინაურება, ხალხში ფართო და მტკიცე ნიადაგზე დაყენებულ სწავლა-განათლების გავრცელება.

10. ყველა ერს თავის სახის და დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად ესაჭიროება საკუთარი და თანამედროვე კულტურის დონეზე მდგომი ენა.

11. ევროპის მეცნიერების, კულტურის და პედაგოგიის მთელი ისტორიიდან უნდა ამოვკრიფოთ საუკეთესო, მისაბაძი და ჩვენი ცხოვრებისთვის გამოსადეგი ელემენტები; უვარგისზე და ხშირად იქაურ ცხოვრების მიერ უარყოფილ მხარეებზე უარი უნდა განვაცხადოთ.

12. უნდა შევეცადოთ ისეთი საქმე არ გავაკეთოთ, რომელიც მალე ხელ-ახლა გასაკეთებელი იქნეს.

13. ტერმინოლოგიის შემუშავებას დედააზრად უნდა დაედვას შემდეგი: სამეცნიერო ტერმინოლოგია ეროვნული უნდა იყოს.

14. თუ ერთბაშად ყველა ცნებებისთვის შესაფერისს და რიგიან ქართულ სიტყვებს ვერ ამოვარჩევთ, უკიდურეს შემთხვევაში დროებით შეიძლება უცხო ტერმინები დავსტოვოთ.

15. ასეთი უცხო სიტყვები „მოსაფიქრებელ ტერმინთას" ხიაში უნდა მოვაქციოთ.

16. ისეთი უცხო სიტყვები, რომელნიც სწორად გამოხატავენ ცნების შინაარს და რომელთაც მოქალაქეობრივი უფლება ჩვენში მოპოვებული აქვთ ქართულ ენაში, უნდა დარჩნენ.

ამ ჟამად ამით ვათავებ. მაგრამ ტერმინოლოგიის საკითხი იმდენად რთული, დიდმნიშვნელოვანი და საჭიროებაა, რომ მისი სხვა და სხვა მხარეების გასაშუქებლად კიდევ არა ერთხელ მოგვიხდება ლაპარაკი.

ინჟ. გ. კაკაბაძე

# აჭარელთა დელეგაცია.

12 მარტს ტფილისში ჩამოვიდა აჭარელთა დელეგაცია. დელეგაციაში შედიან: ასმანბეგი, იზიდ ბეგი და აზიზ აბაშიძეები. დელეგაცია აპირებს, დამფ. კრების წევრს აკაკი ჩხენკელს და მოელაპარაკება აჭარის შესახებ სხვა და სხვა საკითხებზე.

# ხელოვნება

## ხელოვანი განვითარებული უნდა იყოს.

უნდა ვაღიაროთ, რომ თანამედროვე საქართველო ესტეტიურად ჯერ კიდევ ვერ არის საცსებით გაწვრთნილი, გაკულტუროსნებული. და ეს ხომ ასე ნათლად სჩანს, ჩვენი ცხოვრების ყოველ დარგში.

განსაკუთრებით ეს ითქმის ჩვენ თანამედროვე პოეზიაზე და მის ზოგიერთ მოციქულებზე.

ბილეთ ჩვენი ახალგაზდა მწერლები, პოეტები და მსახიობები.

მე აქ არას ვიტყვი, ჩვენ დამსახურებულ ხელოვანთ შესახებ. გამონაკლისს ყოველთვის აქვს ადგილი.

იმისთანა უვიც ხალხს, ყოვლად უცოდინართ როგორც ჩვენი ზოგიერთი „პოეტებია"—სხვა კულტურულ ქვეყნებში ძვირად შეხვდებით.

დღითიდღე მრავლდებიან ჩვენი პოეტები—დღეს იშვიათად ნახავთ საქართველოში კაცს, რომელსაც ლექსი არ დაეწეროს და თავისი თავი მეორე რუსთველად არ მიაჩნდეს.

„ლეტუჩკებსავით" გამოდის ახალ-ახალი ჟურნალები: „იანვარი", „თებერვალი" „მარტი", „აპრილი", „პარნასი" და რა ვიცი კიდევ რამდენი პოეტები დაყოფილნი არიან სხვა და სხვა ჯგუფებად. ერთი პოეტთა ჯგუფი მეორე ჯგუფს ლანძღავს, მეორე მესამეს და ასე ლანძღვა გინების საქმეთ გაუხდიათ ლიტერატურული კრიტიკა.

ერთმანეთსაც შესაფერისი ეტიკეტებით უმასპინძლდებიან. ერთი ეძახის მეორეს „რითმის ავაზაკს", მეორე „მაწანწალას", „ქურდს", „პლაგიატს", მესამე გაბოროტებით არქმევს „პოეზიის პარალიჩს", „არშინ მალ ალანს", „ასკარას" და სხვა და სხვა. მათი მარგალიტის ტერმინოლოგიის ჩამოთვლას ვინ შესძლებს.

და განა ეს კრიტიკაა!

ეს თავხდობაა ნამდვილი, აღვირ წახსნილობა და თავის თავის ანგარიშ მიუცემლობა და საზოგადოების აბუჩად აგდება.

ეს კიდევ ცოტაა.

ერთი ჯგუფი ყოველთვის იმის ცდაშია, რომ ძველის სკოლის მწერლები როგორმე დამცირონ, ტალახი ესროლონ.

ხშირად გაიგონებთ. ეს პოეტი არ არის პოეტი. ამ მწერალს ჩვენ ვერა ვგრძნობთ. ასე დადიანი ისინი და „ატესტატებს" არიგებენ.

მაგრამ როდესაც ჩაიხედავ მათ „ატესტატში" ყველაზედ ადრე სამარცხვინო „ატესტატის" მიცემა იმათ უფრო შეშვენით.

თვითონ გაიძახიან ბევრს ესტეტიკაზე, მაგრამ მათში ესტეტიური არაფერია.

არავითარი მოკრძალება და ჯენტლმენობა.

პოეტი—ესტეტი, განვითარებული უნდა იყოს ყოველმხრივ. თავისი დარგის, ვიწრო სპეციალობის ცოდნა არაა კმარა. უნდა ზედ მიწევნით იცოდე: მუსიკა, მხატვრობა, ქანდაკება, თეატრი, საერთოდ ყოველი დარგი ხელოვნებისა...

ჩვენში კი რას ვხედავთ?..

ერთი ახალგაზდა პოეტა მეუბნება:

— მე ვერა ვგრძნობ ოპერას.

და როდესაც შევეკითხე:

— დასდიხართ ოპერაზე? მოგისმენიათ სიმფონიური კონცერტი? როგორ მოგწონთ ბახი, შუმანი, ბეთჰოვენი?

და თქვენ წარმოიდგინეთ პასუხათ რას ვიღებ?

— მე არას დროს ოპერაზე არ ვყოფილვარ. არც სიმფონიური კონცერტი ვიცი რა არის. ვერც ბეთჰოვენის და ვერც თქვენ ვაგნერს ვიცნობ, არც ერთი მათი ნაწარმოები არ მომისმენია, მაგრამ ვიცი რანიც არიან.

მეორე გეტყვით:

— იმდენად განვითარებული მაქვს გემოვნება რომ ჩვენ ძველ მწერლებს ველარ ვკითხულობ. შეუძლებელია კაცმა წაიკითხოს მაგალითად ვასილ ბარნოვის თხზულებანი და სხვების...

არა! ვერა ვგრძნობ!

გესმით, მკითხველო, „არ წამიკითხნია" და „ვერა ვგრძნობს".

თუ ღმერთი გრწამთ, ვიდრე თავს ქვას არ მიახლი ტკივილს როგორ იგრძნობთ?

მახლას!

მხოლოდ ჩვენში თუ შეხვდება ასეთი მაგალითები!

მიდით მერე ამის შემდეგ და მათ მოსთხოვეთ ესტეტიკა.

რუსეთის გამოჩენილი პოეტი პუშკინი დიდებული ესტეტი იყო, ადამიანი, რომელიც ხელოვნების ყოველ დარგს ისე გრძნობდა და განიცდიდა როგორც თვით პოეზიას. და მის ნაწერებიდან გამოსჭვივის იმის უტყუარი საბუთი, რომ მან იცოდა ისევე კარგად მუსიკის, მხატვრობის, თეატრის მნიშვნელობა, როგორც პოეზიის.

შესანიშნავი ბელეტრისტი ი. ტურგენივი როდესაც აღწერდა ბუნების დიდობას, მის კალამში ნამდვილი მუსიკალური ელექტრიზაცია ხდებოდა და ყოველ მის რომანში ნათლად სჩანდა რა შესანიშნავი ესტეტი იყო და როგორ მშვენივრად იცოდა მუსიკა, მხატვრობა, ქანდაკება და თეატრი?

ჩვენ მწერლობაში ამას ნუ იკითხავთ.

აღარას ვიტყვით შექსპირზე, რომელმაც ყველა ბიოლოგებს და ფსიხიატრებს გადააჭარბა და დღესაც ყოველ დარგიდან მეცნიერნი თუ ხელოვანი აუარებელ მასალას ღებულობენ მის ერთი მეორეზე შესანიშნავ ნაწარმოებიდან.

ჩვენში რატომ არ არის ასე?

უექველია, არიან ჩვენში დიდი ნიჭის პატრონებიც.

მაგრამ ზოგ მათგანს აკლია კულტუროსნობა. სწავლა-შეგნება. განათლება. ესტეტიური აღზრდა, რომელსაც მოკლებულნი არიან ბავშვობიდანვე!

რას შეჰქნის ის პოეტი, რომელიც მხოლოდ თავყვანსა სცემს ერთ კერპს იქნება ეს ბოდლერი თუ ვერლენი? და არავითარი წარმოდგენა სხვა მიმართულების მწერალზე თუ პოეტზე არ ექნება.

ჩვენ ახალგაზდა პოეტების ხელშია ყველაფერი: „ატესტატი"ს მიცემა მწერლობაზე, კრიტიკა, რომელ პოეტსაც უნდა გააკრიტიკებს და თავისი თვალსაზრით დაინახავს ის პოეტი არის თუ არა. შეიძლება ვაჟა ფშაველა მიიღონ მწერალთა რიგში, მაგრამ ნუ გაგიკვირდებათ თუ ნიკოლოზ ბარათაშვილი უარყვეს.

უნდა გულახდილად ესთქვად, რომ ზოგიერთი ჩვენ ვითომდა, პოეტების პოეტობა ჩრდილს აყენებს ჩვენ ეროვნულ ხელოვნებას. მაგრამ ყველაზე უფრო სამწუხარო ის არის, რომ ზოგი ამ „პოეტების", პრეტენზიებს ხშირად საზღვარი არა აქვს.

როგორც მეცნიერების ყველა დარგში ისე ხელოვნებაშიც საჭიროა ერთგვარი საზომი, კრიტერიუმი. თვითნებობას ხელოვნებაში ადგილი არ უნდა ჰქონდეს.

უნდა გვეშინოდეს ისტორიის მსჯავრისა, უნდა შევიგნოთ პასუხისმგებლობა მომავალი თაობის წინაშე.

ისტორია ასამართლებს ყველას.

მ. ბ.

# წესდება

## საქართველოს ცენტრ. სავაჭრო-სამრეწ. ბანკისა. (ცენტრობანკი).

§ 14.

დაგირავება პროცენტიან ქაღალდებისა და სხვა მოძრავისა სრულდება ყველა საკრედიტო დაწესებულებათათვის მიღებულ წესით: ე. ი. ბანკის გამგეობისადმი უბრალო გადაცემით ამა გირაოთა, განცხადებასთან ერთად, რომელსაც დამგირავებელი ხელს უნდა აწერდეს. განცხადებაში უნდა იყოს აღნიშნული, რომ თუ ვადაზე სესხი არ იქნა გადახდილი გამგეობას შეუძლია გირაო გაყიდოს. თავის მხრით გამგეობა აძლევს მსესხებელს გირაოს მიღების მოწმობას, ამ მოწმობაშიდ უნდა იყოს ნამდვილად აღნიშნული რაში მდგომარეობს გირაო და რა პირობით არის სესხი გაცემული.

§ 15.

პროცენტის რაოდენობა და პირობები ვექსილის განაღდებისა, სესხისა და აგრეთვე დეპოზიტთა და მიმდინარე ანგარიშთა განისაზღვრება ბანკის გამგეობის მიერ და მტკიცდება საბჭოს მიერ.

§ 16.

ფულის და გაფულების წარმოებული ბანკის მიერ მესამე პირთა ანგარიშით და ყველა მონდობილობით ოპერაცია აღნიშნული მე-§ 13-ში, სრულდება ბანკის მიერ წინდაწინ გამგეობისაგან განსაზღვრულ საკომისიო სასყიდლის აღებით.

§ 17.

მესამე პირთა ანგარიშით ბანკი ფულს იხდის მხოლოდ იმ ფულით, რომელიც მიმნდობლის მიმდინარე ანგარიშზე იხსება, ან და ფულს იხდის მაშინ, როცა წინდაწინვე შემოტანილ იქნება საჭირო ფული და ჩარიცხული მიმდინარე ანგარიშზე იმ პირისა, რომელსაც ბანკი აძლევს ფულს.

§ 18.

კლიენტთა საჭიროებისთვის ბანკისადმი ნებადართული საბლანკო კრედიტები ე. ი. კლიენტთა ანგარიშით ბანკის მიერ გადახდილი ფული, გადაჭარბებული მათ მიმდინარე ანგარიშის თანხას ან თანხას მათ მიერ წარმოდგენილ გირაოთა საგირაო ღირებულებისას, არ უნდა აღემატებოდეს საერთოდ ერთ მეათედ ნაწილს ბანკის ძირითადი (ნამდვილად შეტანილი) და სათადარიგო თანხისას და არ უნდა გადაცილდეს 30 დღეს, და თუ ამ ვადის შემდეგ ბანკის მიერ გადახდილი ფული არ იქნა შევსებული ნაღდი ფულიდან უზრუნველყოფილი დაწერებული გირაოთი, ბანკის სამმართველო უნდა შეუდგეს გადამდევინებას თავიანთ წევრთა პასუხისგებით.

§ 19.

ბანკი აწარმოებს განაღდებას ვექსილებისას და სხვა ვადიან ვალდებულების ქაღალდებისას, რომელიც უზრუნველყოფილია გადახდის მხრივ არა ნაკლებ ორი კაცის ხელის მოწერითა; ერთის ხელმოწერილი ვექსილები ბანკს შეუძლია მიიღოს გასანაღდებლად და მისცეს გირაოდ სესხი მხოლოდ მაშინ, როცა იგი ვექსილები უზრუნველყოფილია: პროცენტიან ქაღალდებით, ძვირფასი ლითონებით, საქონლით, და საქონლის დოკუმენტებით.

§ 20.

ვინც წარადგენს § 19-ში მოხსენებულ უზრუნველ-საყოფელს, იმას ბანკში გაუხსნიან კრედიტს, რომლის რაოდენობას განსაზღვრავს ბანკის გამგეობა, მაგრამ კრედიტი მაინც არ უნდა აღემატებოდეს § 13 პარაგრაფის ბ. მუხლში ნება დართულ სესხსა ამ გვარ გირაოს ქვეშ. ამ რაოდენობით ბანკი იღებს გასანაღდებლად ვექსილებს, გაცემულს იმ პირისაგან, ვისაც კრედიტი აქვს გადაწყვეტილი, აგრეთვე სხვის ვექსილებს მისი საბლანკო წარწერით.

§ 21.

თუ მსესხებელმა არ გადაიხადა ვადაზედ სესხი, აღებული ბანკში § 13, ბ. მუხლში მოხსენებულ გირაოთი, მეორე დღეს ეგზავნება ბინაზედ თვის მიერ ნაჩვენებ ადრესით წინასწარი უწყება, რომ შვიდი დღის შეღავათი ეძლევა მას დღიდგან ვადის გადაცილებისა და ამ ხანში გადახდება პროცენტის მაგიერ ჯარიმა ნახევარი პროცენტი მთლად იმ ფულზედ რაც ემართა.

თუ მსესხებელმა ფული არ შემოიტანა შეღავათად მიცემულ კვირის განმავლობაში, მაშინ იმისი დაგირავებული ფასიანი ქაღალდები, ლითონი და სხვა საქონელი საჯარო ვაჭრობით გაიყიდება თვით ბანკში ან ბირჟის მაკლერის შუამავლობით;

ასიგნოვკები იქნება მიცემული ბანკისვე

